სახალხო გაზეთი

სურათებიანი დამატება

გაზეთის № 83. კვირა, 15 აგვისტო 1910 წ. დამატების № 14

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევგინე

დრამა სამ მოქმედებად

შირვანზადეხი

(თარგმანი სომხურიდან)

(დასასრული *)

მოქმედება მესამე

სულ. მოდი და გაიგე ქალის ფსიხოლოგია.

მიჰრ. ქმარს ესმის თავის შეურაცყოფა და ცოლს აფრთხილებს. ცოლი ჯერ უარზე დგას, მერე დანაშაულობაზე სდებს თავს, სიტყვას აძლევს შეცდომა აღარ ჩაიდინოს... მაგრამ ვერ ასრულებს სიტყვას. სამ წელიწად იტანჯება ქმარი, შეგიძლიანთ წარმოიდგინოთ, როგორ (სუდთანიანს) საქმეში ჩართულია, იმის დღიური ეგ დატანჯული სულის ერთი მთელი ტრაგედიაა. (ჭდეჯავს თავს იმაგრებს. ხელ-ახლად მიჭმართავს სარაფიანს და ვარსამიანს) ერთ დღეს, როდესაც ნადირობიდან სახლში ბრუნდება თავის ცოლს საყვარლის უბეში ხედავს...

სარ. და იმ წუთსავე, გაგიხარიან, ფრანტსა ჰკლავს...

მიჰრ. (ამოოხვრით) იჰ! ბედნიერება ადამიანისთვის იმდენად იშვიათია, რომ როდესაც ხელში უვარდება, კბილებით იჭერს ხოლმე. მეუღლეს ჯერ კიდევ იმედი ჰქონდა ოჯახის მშვიდობიანობის აღდგენისა. თავს იმაგრებს. ფრანტს კი, ეგონა, დადგა ჩემი უკანასკნელი წუთიო, ჯიბიდან დანას იღებს თავის დასაცავად. მეუღლე ეუბნევა: „მომშორდი, არ მინდა კაცის მკვლელი გავხდეო“ ფრანტი, საზიზღრად იცინის. ასეთი სიცილი საშინელ შეურაცყოფას აყენებს მეუღლეს. ის მოთმინებიდან გამოდის. საბრალო თოფს გაისვრის და ფრანტი სისხლში ჰგორაობს თავის საყვარელ ქალ-ს ფეხ ქვეშ.

ვარ. (ბაუზა) რასაკვირველია, ცოლი ჰგლოვობს თავის საყვარელს.

სულ. პირიქით, ის ტირის თავის მეუღლეზე. და თითონ მე მთხოვა ერთი კარგი ვექილი დამეჭირა იმის ქმრისთვის.

ვარ. აი, სწორედ ამდროს იტყვიან ხოლმე: „მოდი და გაიგე ქალის ფსიხოლოგიაო“... (მიჭვრინს) მაგრამ მიკვირს, აგერ სამი წელიწადია რაც შენი თანაშემწე ვარ და არ მახსოვს ისე აეღელვებინოს რომელიმე საქმეს, როგორც ეს მემანქანის საქმე გაღელვებს.

მიჰრ. (მიდი-მოდის) მაღელვებს იმ კაცის ტანჯვა. რა მოთმინება და რაოდენი სულიერი ძალა უნდა ჰქონდეს ადამიანს, რომ შესძლოს შეიმაგროს თავი, მთელი სამს წლის განმავლობაში... ის კი ერთი უბრალო მემანქანეა. თითქმის უსწავლელი...

სულ. ჩემის აზრით, ქვეყანაზე მხოლოდ ორნაირი ადამიანია, რომ გმირულად ატარებს თავის გულში დარდს ფილოსოფოსები და მშრომელი ხალხი. ესენი არიან არისტოკრატები სულით. დანარჩენები კი შუათანა არსებანი, რომელთაც ბედის წერა თავის სურვილზე ათამაშებს...

მიჰრ. (უკურებს სუდთანიანს. სახის გამომეტყველება სოცარი აქვს) ჰო?

ეპისკოპოსი კირიოზი.
(მისი სასულიერო მოღვაწეობის 30 წლის შესრულების გამო)

სულ. დიახ. ვინც რომ ცაში არ დაჰფრინავს აზრებით ანუ მთელი არსებობით ცას არ აკვრია, მცენარის შტოსავით ირხევა როდესაც მსუბუქი ქარი გამოუქროლებს... რაც უნდა იყოს, მოხარული ვარ, რომ ჩემი მემანქანის საქმე აგრე გაღელვებს, ეგ იმას ნიშნავს, რომ შენ იმას გულით დაიცავ. დიდათ მოხარული ვარ. მაშ, ნახვამდინ, უნდა წავიდე და საბრალოს ოჯახი გავახარო, რომ იმედია მემანქანის გამართლებისა. (მიჭმართავს სარაფიანს) მერე მედა-შენ წავიდეთ „ევროპაში“ და ერთი კარგად ვისადილოთ აბა წავიდეთ!

სარ. აი ეგ ყოველ ფილოსოფიაზე მაღლა სდგას. (მიჭვრინს) ნახვამდინ. (ვარსამიანს) რამდენიც გსურს იფიქრე ღრმათ, მაგრამ ცხოვრებაში ბედნიერებას ნუ მოელი. დასჯერდი იმას, რასაც გაძლევს, თუნდ ერთ მხიარულს სა

*) იხ. სურათებიანი დამატება № 13.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დილს შამპანიურით. (სულთანიანს) მე მზადა ვარ. ნახვამდის. (სარაფიანი და სულთანიანი გადიან სიღრმის კარებით).

გ ა მ ო ს ვ ლ ა VII.

მიჰრანა და ვარსამიანი.

მიჰრ. (დაფიქრებული რამდენიმე წუთს ბოლთასა სცემს. პაუზა) რა გგონია? ის მართალია?

ვარ. ვინა?

მიჰრ. სულთანიანი: ის ამბობს: ვინც ცაში არ დაჰფრინავს, ან ცას არ აჰკვრია მთელი თავისი არსებით, ქარის შემბერვის დროს ფურცელივით ირხევაო.

ვარ. (რომელიც უყურებს მიჰრანას სახის მეტყველებას) ის ერთშია მართალი, მშრომელი ხალხი უფრო ადვილად იტანს ყოველგვარ გაჭირვებას. არ არის ისეთი გაჭირვება, რომ თავის არწივისებურ ბრჭყალებით არ დასძლიოს. ასეთ შეხედულების შემდეგ სწორედ გასაოცარია ამ ბოლო დროს შენი ასე დაზარმაცება.

მიჰრ. (ჩააშტერდება ღრმად) მაგას რად ამბობ?

ვარ. (შეცდომის გასწორება უნდა) მე ეგ არ უნდა მეთქვა... აი ორი კვირა იქნება, რაც საქმეებს ყურადღებას არ აქცევ, არავინ არ გინდა მიიღო. თუ კიდევ აგრე განაგრძე, კლიენტებს მალე დავკარგავთ.

მიჰრ. მერე შენ ეგ ძალიან გაწუხებს?

ვარ. რატომაც, ამნაირად შენ დაჰკარგავ ამდენი ხნის განმავლობაში მოპოვებულ სახელს.

მიჰრ. (მწარე სიცილით) სახელი! ხა, ხა, ხა, სახელი. ნუ თუ დიდებას ანუ კარგ სახელს შეუძლიან ადამიანი გააბედნიეროს? (გულზე ხელს იცემს) ეს უნდა იყოს არხეინად, ეს...

ვარ. ვფიქრობ, როდესაც კაცი თავის მოვალეობას პირნათლად ასრულებს, გული ყოველთვის დამშვიდებული აქვს...

მიჰრ. ნუ თუ! ეგ გულუბრყვილო ყმაწვილის სიტყვებია. აბა, მითხარი, ბევრნი ასრულებენ თავიანთ მოვალეობას? აა, ბევრნი (უყურებს თვალებში) ჰამაზასპ, მე ვიცი რაც უნდა სთქვა, რას ფიქრობ ამ წამში,—დიახ, დიახ, ვიცი რა მოვალეობის შესახებაც ამბობ შენ ჩემდამი სიბრალულსა გრძნობ. ხომ ასეა. შენ ლაჩრადა მთვლი... პირს რად მარიდებ? ნუ თუ სულელი ვარ? ნუ თუ არ ვიცი მეგობრის თვალებში ამოვკითხო იმისი აზრები, შენ ყველაფერი იცი, მხოლოდ მოკრძალება, ეგ ყალბი გრძნობა, ნებას არ გაძლევს პირდაპირ შემტუქსო.

ვარ. მიჰრან!

მიჰრ. ნუ სტყუი, ჰამაზასპ! ჩვენი ზნეობრივი საზომი ერთი და იგივეა. იდეებსა და სინამდვილეში საშინელი უფსკრულია. ვიცი, შენ გინდა, რომ მე გმირულად გადავლახო ეს უფსკრული და გადავლახავ კიდეც, პატიოსან სიტყვას გაძლევ, გადავლახავ.

ვარ. (გახარებული) იმედი მაქვს, და ასეც ვიყავი დარწმუნებული, რომ შენ ეგრე მოიქცეოდი.

მიჰრ. გახსოვს ის საღამო?—შენ რომ არაბაჯიანზე ლაპარაკობდი? შენი თვითეული სიტყვა უფრო და უფრო ჩემს გუნებაში ღრმად ეჭედებოდა. მაშინ მე შენში ძლიერ დამცველს ვხედავდი.

ვარ. მაშ, დაამტკიცე, რომ საზოგადოება ძლიერ სულის პატრონ ადამიანს არაა მოკლებული, რომ ჩვენცა გვყავს ადამიანი ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით, საქმისა და არა სიტყვისა...

მიჰრ. ვეცდები.

ვარ. მაშ, ნება მომეცი, ხელი ჩამოგართვა, როგორც ჩემს ერთგულ თანამოაზრეს. და სიტყვას გაძლევ, შენს მაგალითს მივბაძავ, თუ ჩემს ცხოვრებაში გარემოება აგრე მოეწყო. (ხელს ართმევს) ნახვამდის, მე მივდივარ, რომ შენ მაგ გუნებაზე ნახო ის... ნახვამდის! (სიღრმის კარებთან კიდევ ჩამოართმევს ხელს და წავა).

გ ა მ ო ს ვ ლ ა VIII.

მიჰრანა მარტო მერე მართა.

მიჰრ. პატიოსანი ადამიანი! ტოლსტოის მიმდევრად სთვლიან (ჯდება საწერ მაგიდასთან აიღებს ერთ ერთ საქმეს და კითხულობს, მარცხენა კარებიდან შემოდის მართა. რა დაინახავს თავისი ძმას საქმეში გართულს, ნელ-ნელა მივა ტახტის წინ მდგარ მაგიდასთან, დადგება, და უყურებს თავის ძმას ნაღვლიანად. მიჰრანა კითხულობს, მაგრამ დარდებშია გართული ზოგჯერ კრთება. ბოლოს საქმეს მაგიდაზე დააგდებს, ადგება და დაიწყებს სიარულს) კიდევ!

მარ. დიახ, ყოველთვის, რადგან იტანჯები.

მიჰრ. მე აღარ ვიტანჯები.

მარ. ვინ დაიჯერებს? ჩაიხედე სარკეში, ნახე რა იყავ და რას დაემსგავსე. ამ ორი კვირის განმავლობაში ათი წლით მიხუცდი. ღამე ძილი არა გაქვს და დღე მოსვენება.

მიჰრ. კარგს იზამ, ჩემ მზრუნველობაზე ხელი აიღო

ШИРВАНЗАДЕ-ს ბიუსტი —

შირვანზადეს ბიუსტი, („მეგინეს“ ავტორი).

ქანდაკება ი. ნიკოლაძისა.

და შენს საქკიელზე იფიქრებო, შენ იმასა სდევნი.

მარ. მე მძულს ისა და სხვაფრივ არ შემიძლიან მოვიქცე იმ ქალს, რომელმაც ერთად ერთი ძმა გამიუბედურა.

მიჰრ. გძულს და არა ჰგრძნობ, რომ თითონ ის უსაზღვროთ იტანჯება?

მარ. სჩანს, სინიდისის ქენჯნისაგან, არა? იმას რომ სინიდისი ჰქონოდა, შენ არ შეჰკირთავდა...

მიჰრ. მართა!..

მარ. დიახ, იმას სინიდისი რომ ჰქონოდა, არ მოგატყუებდა.

მიჰრ. კი არ მომატყუა, პირიქით, მეტად პატიოსნურად მომექცა.

მარ. (მწარე დაცინვით) ნუ თუ?.. მაშინ იქნებოდა პატიოსანი, რომ თავის დანაშაული გათხოვების წინად ეღვიარებინა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიჰრ. მაშინ რომ ელვიარებინა იმდენად დიდი გამბედაობა არ იქნებოდა, როგორც ეხლა. როდესაც ქალი გულწრფელობისათვის უარსა ჰყოფს გემო ნახულ ბედნიერებას, გესმის? გემო ნახულს—ბედნიერებას? ეს საქციელი აღტაცების ღირსია, როდესაც გასათხოვარი იყო, იმას არ უყვარდი, იმ დროს იმან არ იცოდა თუ რას ნიშნავდა ურთიერ-სიყვარულის სტკბობა. ეხლა კი იცის. აი თუ გინდა ეს არის ნამდვილი გმირობა. ნუ თუ ყველას შეუძლიან ასეთი გამბედაობა გამოიჩინოს, ისიც ჩვენ ქალებში? შენ კარგათ იცი, რომ იმას ისე ვენდობოდი, როგორც წმინდანს. მთელმა ქალაქმაც რომ იმაზე ცუდი ილაპარაკოს, ჩემი რწმენა და მისდამი სიყვარული მაინც არ შეირყეოდა. წარმოიდგინე, რა ძნელი იყო იმისთვის, თავის გულში დამარხული ჰქონოდა თავის წარსული, უმანკო სინიდისი რომ არა ჰქონოდა, ისე ვერ მოახერხებდა შეცდომას გამოაშკარავებას... მე რომ არ ვყვარებოდი...

მარ. მშვენიერია ეგ სიტყვები. შენთვის პატიოსნობაა, მაგრამ იმას მაინც არ ამართლებს.

მიჰრ. არაფერი ისე არ გაამართლებს იმას, როგორც გამოტეხა და გულწრფელი იღიარება. არავის არ შეუძლიან ისე სასტიკად დასაჯოს, როგორც თავის თავს.

მარ. (ბაუზა მიგა ძმასთან) ყური დამიგდე, მიჰრან: ბავშვობიდან ჩვენ ამხანაგები ვიყავით, შენი დარდი და მწუხარება გამიზიარებია, შენი სახელი და პატიოსნობა ჩემად მიმიღია. მშობლების სიკვდილის შემდეგ დედამის ამაგი გაგიწია. მასწავლობლობით ფულს ვაგროვებდი და გეხმარებოდი, რომ უმაღლესი სწავლა მიგეღო. არ შემიძლიან გულგრილად მოვეკიდო შენ ბედ-იღბალს. „უნდა ვაპატიოო“ ამბობ. შეგიძლიან, მაგრამ ნუ დაგავიწყდება, რომ არის საზოგადოების აზრი, ნათესავთ ფარული ზიზღი, მტრების ბოროტი ხარხარი. ყველა ეს შეიძლება ეხლა არაფრად არ ჩააგდო, მაგრამ მერე, მერე კი ყურს დაუგდებ ხმებს. და მაშინ იმას უფრო შეიძულებ, ვიდრე ეხლა, მაშასადამე, ნუ თუ უფრო კარგი არ იქნებოდა რომ საკითხი ეხლავე გადაგეწყვიტა (ბაუზა) გაისტუმრე ის!

მიჰრ. ეგ არის სულ, რაც უნდა გეთქვა? საზოგადოების აზრი, ნათესავთ ზიზღი და არ ვიცი სხვა რაღა. მართა, ყველა მაგაზე უფრო ძვირად მიღირს ჩემი შინაგანი მსაჯულის ხმა. ვიცი, რომ ჩვენი ცხოვრების ზნეობის ცხრა მეათედი ეკუთვნის საზოგადოებას, ვიცი რომ არის ცრუმორწმუნოება, რომელიც დაუსჯელად არ დამტოვებს, მაგრამ მე მინდა ანგარიში გაუწიო ჩემი სულის მდგომარეობას, მინდა ყური ვათხოვო ჩემი სინიდისის ხმას... ეს, ეს ხმა მეუბნევა: „ევგინე ღირსია პატიებისაო“. არა, ეს ხმა უფრო მეტს მეუბნება: „ევგინე ზნეობრივად მაღლა დგასო“ (მართა კიოტებული უყურებს) გაიკვირვე, მაგრამ ეს ისეთი მაღალი გრძნობაა, რომელი არ შეუძლიან დაახშოს ჩემში საზოგადოების ცრუმორწმუნეობამ (ბაუზა) ნუ თუ არ ვიცი, რომ საამხანაგო ცხოვრების პირობებს ინდივიდები არა ჰქმნიან?.. მხოლოდ ინდივიდებს შეუძლიანთ არაფრად ჩააგდონ საუკუნოებრივ უძრავად დარჩენილი ცრუმორწმუნოებანი და შესცვალონ კიდეც... რა თქმა უნდა, ჩემთვის სასიამოვნო არაა, რომ იმისი წარსული ასეთია, მაგრამ, იფიქრე, ვინა ვარ მე? გაითვალისწინე ჩემი საკუთარი წარსული? დიახ, რა არის ჩემი წარსული! ის თუ ბავშვობის დროს ჩავარდნილა ერთ მაცდურის ხაფანგში, მე ხომ არავინ მატყუებდა, პირიქით, თვითონ მე ვატყუებდი. დიახ, დიახ! თუმცა მე ისე არ მომიტყუებია, როგორც იმ ბატონსა, მაგრამ მაინც მოტყუება ყოფილა... მეც შემიცდენია ქალები... ევგინემ რად მაპატია ჩემი, წარსულის ჭუჭყები, რომ მე არ დავივიწყო მისი უნებლიედ შეცდომა. უნდა დავივიწყო არა მარტო შეცდომა, არამედ ჭუჭყიც, თუ არსებობს ეს ჭუჭყი.

მარ. ვარსამიანის სიტყვები!..

მიჰრ. აა, ეგ სიტყვები არც ვარსამიანისაა და არც ჩემი. რაცა ვსთქვი, ეს სამართლიანი პროტესტია უსამართლობის წინააღმდეგ... და მე მაკვირებს ის, რომ შენ, ქალების უფლებების დამცველი, წინააღმდეგი ხარ მაგისთანა პროტესტისა.

მარ. მაგრამ მე არ მინდა, რომ პროტესტის გამომცხადებელი ჩემი ძმა იყოს. არ მინდა, რომ პირველად ჩემმა ძმამ ესროლოს ტყვია საუკუნოებით დამკვიდრებულ მონობის ზღუდეს.

მიჰრ. მაშ გინდა, რომ ის იყოს ზნეობრივ მუქთახორა? სულიერ სიმტკიცეს მოკლებული? გინდა, რომ ის იყოს იმ ბეჩავთა შორის, რომელნიც მონურად იტანჯებიან საზოგადოების აზრის დუხჭირის ქვეშ? არა, არ შემიძლიან ისე მოვიქცე, ეკეთი ვიყო...

მარ. (სიჩუმის შემდეგ) დიახ, ვხედავ, რომ ჩემსა და შენს აზრს შუა უშველებელი უფსკრულია. მაგ უფსკრულს ვერ ამოვამსებთ ამ კამათით (თავის თავს ებრძვის) მაშ... დაე იმან გაგვაროს ორივენი...

მიჰრ მართა!..

მარ. რად უნდა დაგიმალო! იმისთანა ქალთან ერთ ჭერ ქვეშ ცხოვრება არ შემიძლიან (ტირის).

მიჰრ. (აღელვებული) იმას ნუ აწყენინებ! (მარცხენა კარებში გამოჩნდება ევგინე. ფერწასული, გამხდარი. გამოვლილ სულიერ აღელვებისა და ტანჯვის იმის სახეზე შესაფერი დადი დაუსვამს. თვალების გამომეტყველება სევდიანია, მაგრამ წყნარი თვალების ქვეშ ეტყობა პატარა ნაოჭები. მწუხარებას სახის სიდამაზე გაუნაზებია. მართა დაინახავს თუ არა, საჩქარად მოიწმინდავს თვალებს და ზიზღით სავსე დაეშტერდება მის სახეს. ევგინე კი იმას უყურებს წყნარათ, რომელშიც სჩანს იმისი სულის სიამაყე. მართა საჩქარად პირს მოარიდებს. ევგინეს სახეზე უბრწყინავს ერთი წყნარი, ნახევარ დაცინვით და შემწყნარებელი დიმი. მართა მიაბიჯებს სიდრმის კარებისაკენ).

ევგ. (წყნარად, რამდენიმე ნაბიჯს წინ გადადგამს) მოიცადეთ!..

მარ. (უყურებს იმას შეუკავებელი ზიზღით) რა გნებავთ?..

ევგ. გთხოვთ დარჩეთ...

მარ (მწარე დაცინვით და მწვავედ) დავრჩე ამ ჰაერში!.. აქ... დავიხრჩობი...

მიჰრ. (მწარე შეტუქსვით) მართა! მართა!

მარ. მე დავბრუნდები მხოლოდ შენი უკანასკნელი გადაწყვეტილების გასაგებათ (კარის).

გ ა მ ო ს ვ ლ ა IX.

ევგინე და მიჰრანა.

(მიჰრანა მიუახლოვდება ფანჯარას, რამდენიმე წუთს იყურება ქუჩისკენ დაფიქრებული, მერე მიგა საწერ მაგიდასთან ქაღალდებს უყურებს თავგზა აბნეული. მერე ჩამოჯდება, მაგიდაზე ნიდაყვებით თავს დაყრდნობს. ევგინე მიგა ტახტთან, ერთ ხელზე მაგიდას დაყრდნობს, უყურებს მიჰრანას).

მიჰრ. (დიდიხნის სიჩუმის შემდეგ, ხელებს მოიშორებს სახიდან, მაგრამ კვლავ ევგინეს არ უყურებს) რა გინდოდა გეთქვა მართასთვის?

ევგ. მე მინდოდა მეთხოვნა, რომ იმას თავისი ძმა... მარტო არ დაეტოვებინა...

მიჰრ. ეგ რას ნიშნავს?

ევგ. იმას, რომ ჩემთვის შეუდარებლად უფრო ადვილია მოვისმინო იმისი კიცხვა, ვიდრე ვიხილო შენი გულჩათხრობილი ტანჯვა...

მიჰრ. რაღა დამრჩომია გარდა დუმილისა?.. მერე კი (გრძნობით) დავივიწყო...

ევგ. დავივიწყო?.. ვის შეუძლიან ადამიანს შეუძლებელი მოსთხოვოს? მე მაგაზედ არც კი ვოცნებობ.

მიჰრ. ზოგჯერ ვფიქრობ, ნუ თუ უფრო კარგი არ იქნებოდა? არაფერი არ გამეგო. ას ბედნიერში, ოთხმოცდაცხრამეტი სცხოვრობს ილლუზიით, დაე, ერთიც მე ვყოფილიყავ...

ევგ. და მე განმეგრძო თვალთმაქცობა? თვალით მეხილა შენი ბედნიერება და ყოველ წუთს მეგრძნო, რომ შენ წყვდიადში ხარ, რომ შენი ბედნიერება შენს საყვარელ ქალის თვალთმაქცობაზეა დამყარებული?

მიჰრ. მართალს ამბობ, მართალს, მე მაგაზე ბევრი მიფიქრნია. მაგრამ ისე ჩემ თავში ყოველ წუთას წარმომიუგება ეგ საზარელი სანახაობა ყოველის წვრილმანით. დღე-ღამ თვალწინ მიდგას შენი სახე და ზიზღით მდევნის.

ევგ. ადვილი არ არის პატიოსნებას შეურაცყოფის ატანა...

მიჰრ. პატიოსნებისა?.. არა, შენ სცდები. როგორც შენ არ მომიქეცი გულწრფელად, მეც აგრეთვე მოგექცევი. მე ჩემ პატიოსნებას შეურაცყოფილად არა ვსთვლი. შენი შეცდომა წარსულშია და არა ეხლა. მე მტანჯავს მხოლოდ ის აზრი, რომ შენ როდისმე, თუნდ ერთი საათით, ეკუთვნოდი იმ კაცს. ეგ, ოლონდაც, რომ ცრუ მორწმუნეობაა, დიახ, ცრუმორწმუნეობა, მაგრამ კიდევ. . ტანჯვაა... (ადგება ძრიელ აღელდებული და დადის. ცოტა ხნით სიჩუმე) იმ დღეს სალამოთი, მარტოკა ვიჯექი ამ მაგიდასთან, ჩაის ვსვამდი, უცებ სტაქანში ცხადათ გამოიხატა ის. მე შეშლილისავით ყვირილით წამოვხტი. მომეჩვენა, რომ ის დამცინოდა გაიძვერული სიცილით. ყველგან, ყველგან იმას ვხედავ. იმისი აჩრდილი მდევნის დღე და ღამ (პაუზა) მაგრამ... მაგრამ... მე განვთავისუფლდები, გამოვერკვევი ამ სულელი ბურანისაგან და დავივიწყებ ყველაფერს, ყველაფერს. (დაჯდება ტახტზე და შუბლს ინდაუვებზე დააურდნობს. პაუზა)

ევგ. (მწარე ტანჯვით) შენ ვერასოდეს ვერ დაივიწყებ...

მიჰრ. (უცებ თავს აიღებს და ფეხზე წამოდგება) რატომ? ნუ თუ იმდენად უღონო ვარ სულით, ლაჩარი?.. მე თუ შევძელ შემეკავებინა ჩემი გული, რატომ არ შემიძლიან უფრო მეტის ჩადენა?

ევგ. ჩემთვის უფრო კარგი იქნებოდა, რომ არ შეგეკავებინა ეგ გული. იმ წუთას, როდესაც, თვალებ აზნეული მომვარდი, ცოტას გასწყდა არ მამკალი, მე ჭარ მეშინოდა. ერთი დარტყმა, და მე მივიღებდი ჩემ ღირსეულ საჩუქარს და ყველაფერი გათავდებოდა. ეხლა კი?.. არა! მიჰრან, თავს ნუ იტყუებ. პატიება—იქნება შესძლო, მაგრამ დავიწყება—არასოდეს.

მიჰრ. მაშ?..

ევგ. უნდა მოიქცე ისე, როგორც შენი და თხოულობს. რად მოგატყუო? ჩემთვის უმჯობესია ყველაფერი დავკარგო, ვიდრე გავხდე საბრალო. ვისაც ერთ დროში უცხოვრია სიყვარულის მშვენიერ სასახლეში, არ შეუძლიან დადგეს იმ სასიხლის კარებთან და მოწყალება ითხოვოს.

მიჰრ. ვიცოდი, რომ ამაყი იყავ, მაგრამ არ ვიცოდი, რომ ეგრეთი თავმოყვარეობა გექნებოდა.

ევგ. თავმოყვარეობა!..

მიჰრ. დიახ, თავმოყვარეობა. შენ ამ სახლიდან მიდიხარ იმიტომ, რომ არ გინდა უყურო ჩემს ტანჯვას. თავმოყვარეობასთან სათუთიც ყოფილვარ.

ევგ. დაე ეგრე იყოს. მაგრამ ჩემი წასვლით შევამსუბუქებ შენს ტანჯვას დაჭრილი ადამიანის ტკივილები ორკეცდება, როდესაც ის თვალით უყურებს იმ იარაღს, რითაც დასჭრეს. მხოლოდ ჩემს აქ არ ყოფნას შეუძლიან გამთელოს შენი ჭრილობა!..

მიჰრ. მაშ, შენის აზრით, ეგ არის, საკითხას გადაწყვეტა?

ევგ. ჩემის აზრით, სხვა გზა არ არის. უნდა გავიყარნეთ.

მიჰრ. არასოდეს! არასოდეს! შენ უნდა დარჩე ჩემს სახლში ჩემ გასაკურნავად. შენ სასჯელი უკვე მიიღე, [illegible]. ნუ თუ არ ვიცი, რაც ხდება ეხლა შენს გულში? შენ უნდა დარჩე ჩემ სახლში.

ევგ. არ შემიძლიან... უფლება არა მაქვს...

მიჰრ. მერე ვინ გართმევს მაგ უფლებას?

ევგ. ჩემი სინიდისი.—დამიჯერე, ეგ ერთად ერთი გზაა. სხვა არ არის, არ არის. მე თუ დღემდინ არ შევასრულე გადაწყვეტილება, ეს დედა ჩემის მიზეზით. მე ვიცოდი, რომ უბედურების მოულოდნელი თავზარი ცოტად შესუსტებოდა დედას, დღეს დავარწმუნე, რომ ჩემთვის სხვა გზა არ არის (სიჩუმე) ბარგი უკვე შეკრული მაქვს რჩება მხოლოდ... (ტანჯვის ხმით) უკანასკნელად შემომხედო (სახეს მოარიდებს რომ ცრემლები დამალოს).

მიჰრ. (უყურებს იმას სავსე სათნოებით და სიყვარულით. მის სახეზე იხატება მხურვალე სურვილი გადაეხვიოს და აკოცოს ევგინეს, მაგრამ თავმოყვარეობა ნებას არ აძლევს ეს აასრულოს. პაუზა) კმარა. კმარა!

ევგ. (იტანჯება ძალუმათ ებრძვის თავს და მცირე ხნის შემდეგ, გადაწყვეტილი) მშვიდობით... მხოლოდ... (ყოყმანობს) მაგრამ არაფერი... (ხელს გაიქნევს და მიაბიჯებს მარცხენა კარებისკენ. შიგნიდან მოისმის ძიძის ხმა, რომელიც ნანას ეუბნება ბავშვს. სიღრმის კარებში გამოჩნდება მართა. როდესაც გაიგებს ძიძის ნანას. ევგინე ძრიელ აღელდება, თრთის და ფეხზე ძლივს დგება, მიეყრდნობა კარების ჩარჩოს).

მიჰრ. (თვალს არ აშორებს ევგინეს).

ევგ. სიჩუმის შემდეგ) ამაზე ბევრი ვიფიქრე... (ერუთ წარმოსთქვამს უოველ სიტყვას ცალ-ცალკე) ის შენ გეკუთვნის... მე იმას აქ ვსტოვებ.

მარ. სხვა ფრივ არც შეიძლება!..

მიჰრ. (დის ხმაზე შეკრთება) არა, შეიძლება... (მივა ევგინესთან).

ევგ. (ღონე მიხდილი ვარდება მიჰრანას უბეში) ახ!..

მიჰრ. (პაუზა) მართა, მოდი... მიშველე!.. ევგინე!.. (მართა ადგილიდან არ inძრევა და უყურებს მათ ზიზღით, და როდესაც მიჰრანა გადაეხვია ევგინეს, შეკრთება. მიჰრანა ევგინეს წყნარად სკამზე დასვამს, სცდილობს გონს მოიყვანს. შიგნიდან ჯერ ისევ მოისმის ნანას ხმა, რომელიც თანდათან სუსტდება და წყდება).

ევგ. თვალებს ახელს, უყურებს მიჰრანას, მერე წყნარად დაიჩოქებს იმის წინ და მის ხელს აიღებს, მაგრამ მიიკრავს, ტუჩებზე) არ შემიძლიან, არა...

მიჰრ. (ხელს გამოსტაცებს, ჩაიკრავს იმის თავს. პაუზა). ევგინე გაპატიე, სიყვარულით დავივიწყებ... (სახეს მართასკენ მიიბრუნებს, და ხელით ანიშნებს მოშორდეს).

მარ. მაშ მე დამივიწყე... (გადის).

ფ ა რ დ ა. უ. კ—ნი.

მმ. ა. და ი. კლოშვანძის
—◀ მოსკოვის სავაჭრო სახლი ▶—
პატივისცემით აუწყებს თავის მუშტარს, რომ ის შეუთანხმდა
საბა მაროზოვის შვილი და
● კომპ. მოსკოვში ●
1 ივლისიდან სახლის მაღაზიაში
ტფილისი, სასახლის ქუჩ. ტელ. № 477.
—◆ გაიხსნა ახალი განყოფილება ◆—
სადაც საგანგებოდ გაიყიდება საქონელი ნაკოლსკის სამანუფაქტურო
საბა მაროზოვის შვილისა და კომპ.
საქონელი იყიდება საფაბრიკო პრეისკურანტების ფორმებში. (4—6—1)

რედაქტორ-გამომცემელი ი. სონღულაშვილი. ელექტრო-მბეჭდავი სტამბა „სინათლე", ტფილისი, რუსის ქუჩ. № 3